

0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
POLITICAL SCIENCES AND CIVICS

ქართული საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობების მატიაწეს
მოკლე მიმოხილვა

ნუცა ქადაგიშვილი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
nuca2005k@gmail.com

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში მოყვანილია ქართული საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიის ძირითადი და მნიშვნელოვანი მომენტების მოკლე შინაარსი. სტატიის შინაარსი გვამცნობს საქართველოს საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობების მეტად საინტერესო მომენტებს. ამ შინაარსის გაანალიზებით დაინტერესებულ მკვლევარებს საშუალება მიეცემა უფრო ჩაუღრმავდნ ქართული დიპლომატიის წარმოშობისა და განვითარების სტადიებს, სადაც წააწყდებიან მეტად მნიშვნელოვან ადგილებს, რომელსაც ანალოგი არ აქვს სხვა ქვეყნების დიპლომატიაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ წინამდებარე სტატია არის ქართული დიპლომატიის ისტორიის პაწია ნაწილი, რომელიც წარმოადგენს გზამკვლევს და კეთილ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ ქართველ ახალგაზრდებს უფრო ვრცლად და მეცნიერულ დონეზე გამოიკვლიონ თავისი ქვეყნის მმართველი წინაპრების რთული დიპლომატიური ნამოღვაწარი, რის მეშვეობითაც საქართველომ და ქართველმა ერმა დღემდე შეინარჩუნა თვითმყოფადობა და მსოფლიო ცნობადობა. ქართული დიპლომატიის ისტორიის სიღრმისეული კვლევა მეტად საშურ, საინტერესო და სასარგებლო საქმედ უნდა მივიჩნიოთ!

საკვანძო სიტყვები: ქართული საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, სამხრეთ კავკასია, კავკასიის რეგიონი, გეოპოლიტიკა, გეოსტრატეგია, გეოეკონომიკა, ახალ მსოფლიო წესრიგი, მშვიდობიანი თანაცხოვრება, ეკონომიკური თანამშრომლობა, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნები.

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად, რელიგიურად, იდეოლოგიურად, ეთნიკურად, კულტურით და თავიანთი მსოფმხედველობით სამი დამოუკიდებელი ქვეყანა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი განსხვავებულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, სამივე სამხრეთ კავკასიის რეგიონად მოიაზრება.

სახელწოდება – „სამხრეთ კავკასია“ ბევრი ფაქტორით შეიძლება განისაზღვროს. უპირველესი მსაზღვრელი ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობაა. სამივე ქვეყანა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი გეოგრაფიულად მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთით, შავი და კასპიის ზღვას შორის. ამ სახელმწიფოების ერთ რეგიონად მოხსენიება ფაქტობრივად მათი თითქმის ერთნაირი გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს. დამატებით ვიტყვით, რომ ეს სამი ქვეყანა ოთხივე კუთხიდან წარმოადგენს ევროპასა და აზიას შორის ძირითად გამყოფს სხვადასხვა შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამ სამ სახელმწიფოს ერთმანეთთან დიდი ისტორიული ურთიერთობა აქვთ. ისინი რეგიონში წარმოქმნილ საფრთხეებსა და პრობლემებს ხან ერთიანი ძალით, ხან კი ცალ-ცალკე, თავისებური მიდგომებით და მეთოდებით არეგულირებდნენ. დროდადრო აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის წარმოიშობოდა მწვავე დაპირისპირებები, რაც კონფლიქტსა და საომარ მდგომარეობაში გადადიოდა. ასეთი გამოწვევები უმთავრეს შემთხვევაში პროვოცირებული იყო გარე ძალების (სხვა დაინტერესებული ქვეყნების) მიერ და უკავშირდება სტრატეგიული გავლენის სფეროს გადანაწილებას.

ამ პროცესებში ყველაზე გლობალურ მონაწილედ „სამი რუსეთი“- მეფის, საბჭოთა და დღევანდელი რუსეთი გვევლინება. აღნიშნულმა მოვლენებმა ოცდამეერთე საუკუნეში მეტი მასშტაბურობა და აქტუალურობა შეიძინა და დღეს, „ახალ მსოფლიო წესრიგის“ („New World Order“) ზღვარზე, სტრატეგიული გავლენის სფეროს გადანაწილება უკვე გარდაუვალ პროცესად მიიჩნევა. მიმდინარე პროცესებში ამ სამი სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა (თუნდაც თავის გადარჩენის, თვითმყოფადობის და თავისუფლების შენარჩუნების კუთხით) აქვს, თუ როგორი წარმატებით მოახერხებენ თავიანთი საგარეო და შიდა პოლიტიკის მართვას, სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვას,

მდგრადი ეკონომიკის განვითარებას და რაც მთავარია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებას.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობის ლიდერობის როლი ოდითგანვე საქართველოს კუთვნილება იყო. ეს უპირატესობა ფაქტობრივად გამოიკვეთა საქართველოს უძველესი კულტურითა და ტრადიციებით, უკეთესი გეოგრაფიული მდებარეობით, შავ ზღვაზე, როგორც ევროპასთან დამაკავშირებელი სატრანზიტო გასასვლელის არსებობით და იმ უსაფრთხოებით (დაცულობით) რაც განპირობებული იყო საზღვრების ბუნებრივი კონფიგურაციით (ძირითადად კავკასიონის ქედი და შავი ზღვა).

ძირითადი ნაწილი

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები – საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია შორეული წარსულიდან, სახელმწიფოს განვითარების პარალელურად ვითარდებოდა. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანდათან იხვეწებოდა დიპლომატიის საშუალებები, ხერხები, ფორმები, მეთოდები. საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობები მყარდებოდა, როგორც სამეზობლო სივრცეში ასევე შორეულ სახელმწიფოებთან. სახელმწიფოს მართვაში დიდი ყურადღება ექცეოდა შიდა დიპლომატიასაც.

ქართული სახელმწიფოს ისტორია გვაწვდის ცნობას იბერიის პირველი მეფის - ფარნავაზის (ძვ. წ. IV–III საუკუნე) სელეუკიდებთან დაკავშირებული საგარეო პოლიტიკის და დიპლომატიური მოლაპარაკებების შესახებ. ასეთმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო იბერიის სამეფოს გაძლიერებას, რამაც საფუძველი დაუდო იბერიის ტერიტორიაზე, ინდოეთიდან საბერძნეთამდე გამავალ სავაჭრო გზის არსებობას (ახ.წ. I-II სს-ში). ამ გზის ფუნქციონირებამ დიდად განაპირობა იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე და უსაფრთხოების საიმედოობა.

საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობა ითხოვდა შესაბამისი დოკუმენტების წარმოებას. იმდროინდელი საქართველოს დიპლომატიური დოკუმენტები იწერებოდა საერთაშორისო ენებზე: ბერძნულზე, არამეულსა და ფალაურზე. ამისათვის საჭირო იყო დოკუმენტის შემდგენელი სწავლული პირები, ვინც დაუფლებული იყო ორატორულ ხელოვნებას. ეს კი შესაძლებელი იყო სპეციალურ სკოლებში და რაოდენ სამაყოა, რომ ასეთი სკოლა არსებობდა, როგორც საზღვარგარეთ ასევე საქართველოშიც, კერძოდ კი ფაზისში (ძვ. ბერძნ. Φάσις - დღევანდელი ფოთი). ფაზისის სკოლა ცნობილი იყო საქართველოს საზღვრებ გარეთაც. ისტორიული წყაროს მიხედვით, ფაზისის სკოლაში განათლება აქვთ მიღებული ბერძენ ფილოსოფოსებს და რიტორებს ევგენოსსა და თემისტოსს [1].

საქართველოს საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობა მაღალ დონეზე წარიმართებოდა XI – XII საუკუნის საქართველოსა და ჩრდილოეთ მეზობლებს შორის (რუსეთი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი, ადიღეი, ოსეთი, ყივჩაღები - თურქულენოვანი, თურქული მოდგმის ტომი). ამ პერიოდში საქართველოს ჩრდილო მეზობლებს შორის არსებულმა კონფლიქტებმა და დამაბუღელმა საომარმა მოქმედებებმა განაპირობა სხვადასხვა სახის დიპლომატიური ურთიერთობისა და კონტაქტების აუცილებლობა. ჩრდილოეთ მეზობლების ქვეყნები ესწრაფვოდნენ საქართველოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ დასავლეთ საზღვარზე მშვიდობიანობისა და უსაფრთხოების დამყარებისათვის. ასეთი კავშირები განსაკუთრებით აქტუალური ხდებოდა გაძლიერებული საქართველოს სამეფოს პერიოდში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს მეფის - დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდი (1089-1125 წლები). კავკასიის რეგიონში დავით აღმაშენებლის ფაქტორმა, მისმა საგარეო-პოლიტიკურმა ხედვამ, რაც ჩრდილო კავკასიელთა კონსოლიდაციას ითვალისწინებდა, დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს ჩრდილოეთი მეზობლების საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებაში. ამ პერიოდში შეწყდა ურთიერთ თავდასხმები, განსაკუთრებით კი ყივჩაღთა თავდასხმები მეზობელ ქვეყნებთან, დამყარდა მშვიდობიანი თანაცხოვრება, განვითარდა ვაჭრობა და ეკონომიკური თანამშრომლობა.

დავითის დროინდელ გაძლიერებულ საქართველოსთან ურთიერთობა უკვე იმდროინდელი რუსეთის ინტერესებშიც აისახებოდა. ძველი რუსეთი თვითონ ესწრაფვოდა საქართველოს სამეფოსთან კავშირს, რადგან დავითის გამჭირავი საგარეო პოლიტიკის წყალობით, ყივჩაღები და ოსები საქართველოს სამეფოს ყმადნაფიცები გახდნენ. აქედან გამომდინარე, საქართველოსთან კავშირი და კეთილმეზობლური ურთიერთობა საშუალებას აძლევდა რუსეთს თავიდან აეცილებია ყივჩაღთა გამუდმებული თავდასხმები და უზრუნველყო სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე მშვიდობა და

უსაფრთხოება. დავით აღმაშენებლის ქართული სამეფოსათვის და სრულიად კავკასიის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისა და სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი დამაკავშირებელი საუღელტეხილო გზების უსაფრთხოებას. ამიტომ, დავით მეფემ ითავა ეს საქმე, თვითონ იმგზავრა ჩრდილოეთ ქვეყნებში, დაეუფლა კავკასიის გადასასვლელებს და დაამყარა კონტროლი ამ გზებზე. გარდა ამისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის უმნიშვნელოვანესი იყო დარუბანდზე გამავალი სტრატეგიული მნიშვნელობის საქარავნო გზის ანუ კასპიის კარის თავის გაღვინის ქვეშ მოქცევა, რაც შეასრულა კიდეც. ყოველივე ამას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის ქვეყნებისათვის და უდავოდ წარმოადგენდა უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ აქტს. ყოველივე ამან საფუძველი განუმტკიცა საქართველოსა და ქართული კულტურის გაღვინას კავკასიის ქვეყნებზე.

ამგვარად, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებს საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ. ეს არ იყო ჩრდილოეთის ქვეყნებთან დავით მეფის მხოლოდ თავდაცვის უზრუნველყოფაზე ფიქრი, არამედ მშვიდობიან დიპლომატიასთან ერთად ხანდახან დავითი შეტევით ოპერაციასაც მიმართავდა, რათა წერტილი დაესვა ამ ქვეყნების მიერ ზოგჯერ არაკეთილმეზობლური მოქმედებისათვის [2].

XVII საუკუნეში ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I დიდ ყურადღებას აქცევდა საერთაშორისო დიპლომატიას. მან მოახერხა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ყველა იმ სახელმწიფოსთან, რომელიც მაშინდელ მსოფლიოში მის თვალსაწიერში იყო მოქცეული. ესენი იყო: ჩრდილო კავკასიის ქვეყნები (უფრო სწორად – სამთავროები), ოსმალეთი, ესპანეთი, რომი, და რუსეთი. მან დასავლეთ ევროპაში (ესპანეთში) დიპლომატიური მისიით მიაღწინა ელჩობა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახის – ირუბაქიდის) ხელმძღვანელობით. ელჩობის მიზანი იყო ესპანეთის მეფის კარზე მიეღწია ანტიირანული კოალიციის შექმნის განხორციელებისათვის. ეს მცდელობა კონკრეტული მიზეზის გამო არ განხორციელებულა და ქართლ-კახეთ-ესპანეთის დიპლომატიური ურთიერთობა ამით დასრულებულა.

ასევე უშედეგოდ დასრულდა თეიმურაზ მეფის დიპლომატიური მცდელობა რუსეთის დახმარებით (ერთთმორწმუნეობის იმედით) აემორეზია საქართველოსთვის ირანის აგრესია და შეეჩერებია ჩრდილო კავკასიელების თავდასხმები საქართველოზე. ეს ორი მიზეზით შეიძლება იქნეს ახსნილი. პირველი ის, რომ ამ პერიოდში რუსეთი თვითონ იყო დასუსტებული სამოქალაქო ომებითა და სხვა სახელმწიფოებით რუსეთის შიდა საქმიანობაში აქტიური ჩარევით და მეორე და მთავარი – რუსეთის პოლიტიკურ გეგმაში არასოდეს ყოფილა საქართველოს დაცვა, გაერთიანება და გაძლიერება, რაც პოლიტიკური და სტრატეგიული ურთიერთობის ზედაპირზეც კი ნათლად იკვეთებოდა. მიუხედავად ამისა, ქართული და უცხოური დოკუმენტური წყაროებიდან მტკიცდება, რომ თეიმურაზ მეფე შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსვლის მიერ მცდელობას არ აკლებდა და ყველაფერს აკეთებდა, რათა დიპლომატიური გზით ეპოვა ქვეყნის გადარჩენისათვის საჭირო თუნდაც მცირედ მნიშვნელოვანი გამოსავალი.

ის, რომ რუსეთის პოლიტიკურ გეგმაში საქართველოს დაცვა არ შედიოდა, დადასტურდა მეფე ერეკლე II-ის უიმედო პოლიტიკურ-დიპლომატიურ გადაწყვეტილებებში: 1783 წ. რუსულ ქალაქ გეორგიევსკში ხელი მოეწერა ტრაქტატს. ტრაქტატი ითვალისწინებდა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს შესვლას რუსეთის მფარველობაში, რის ძალითაც მოხდებოდა საქართველოს დაცვა გარეშე მტრებისაგან და ამავე დროს, რუსეთის მხარე არ ჩაეროდა საქართველოს საშინაო საქმეებში. სამეფო ტახტი კი შენარჩუნებული იქნებოდა ერეკლესა და მისი შთამომავლებისათვის. როგორც შემდგომში გაირკვა, ამ ტრაქტატს საქართველოსათვის სიკეთე არ მოუტანია, უარყოფითი შედეგები კი ცხადზე უცხადესი გახდა. ერეკლე II-ს დაუპირისპირდა ირანი და ოსმალეთი, გახშირდა თავდასხმები შრდილო მეზობლების მხრიდან, რუსეთი ამას ყურადღებას არ აქცევდა და ერეკლე მეფე პირისპირ შეეჯახა ყველა ამ პრობლემას, საბოლოოდ ეს ყველაფერი რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსიით დასრულდა [3].

ქართლის მეფე ვახტანგ VI (1716-1724) ენერგიულად იბრძოდა ორი იმპერიის – ირანის და ოსმალეთისგან საქართველოს მიმართ საფრთხეს ასაშორებლად. მისი უპირველესი დიპლომატიამ იყო საიმედო პოლიტიკური მოკავშირეს ძებნა ევროპაში. ამისათვის მან ევროპაში ელჩად მიაგლინა მისი აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი.

სულხან-საბა ორბელიანი ჯერ ჩავიდა საფრანგეთის ქალაქ მარსელში და შეხვდა ქალაქის მერს, სადაც განხილული იქნა საფრანგეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების საკითხი. შემდგომ,

1714 წლის აპრილში სულხან-საბას ჰქონდა აუდიენცია საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სთან. მან მეფეს წარუდგინა ვრცელი მემორანდუმი საქართველოსა და საფრანგეთს შორის სამომავლო ურთიერთობის მოთხოვნით. მემორანდუმი ითვალისწინებდა სავაჭრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას საფრანგეთსა და ევროპის ქვეყნებთან. ვაჭრობის განხორციელების შესაძლებლობების, კერძოდ კი, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ევროპიდან აზიაში მიმავალი მოკლე და მომგებიანი სავაჭრო გზის შესახებ. ლუი XIV მოულოდნელად გარდაცვალების გამო ყველა ეს საკითხი შეჩერდა [4].

ქართული საგარეო ურთიერთობისა და საერთაშორისო დიპლომატიის განხორციელება უშუალოდ ხდებოდა საქართველოს მეფეებისა და მათ მიერ შერჩეული ელჩების მეშვეობით. იშვიათ, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო დიპლომატიურ პროცესში ერთვებოდნენ წარჩინებული ქართველი ქალებიც, რომელთა დიპლომატიური ნიჭი და შესაძლებლობა განუსაზღვრელია.

ისტორიამ შემოგვინახა XVI საუკუნის დასასრულისა და XVII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი დიპლომატი ქალის - გულჩარა (გულჩორა) სახე. იგი ქართლის მეფე სიმონ I-ის ტყვეობიდან გამოსახსნელად გაიგზავნა სტამბოლში ქართულ დელეგაციასთან ერთად. გულჩარამ შემლო სულთანის დედასთან დაახლოება და თავისი ნიჭისა და დიპლომატიური მანერების წყალობით იმდენად დაუახლოვდა მას, რომ მისი უმაღლესი ნდობა დაიმსახურა. 1602-1612 წლის ირან-ოსმალეთის ომის პერიოდში სულთანმა და მისმა დედამ გულჩარას გაგზავნა აბას I-თან საზავო მოლაპარაკების მიზნით გადაწყვიტეს. თუ გულჩარა ამ მიზანს წარმატებით მიაღწევდა, სულთანი მას სიმონ I-ის განთავისუფლებას დაპირდა. საზავო პირობების შესატანხმებლად გულჩარა რამდენიმეჯერმე შეხვდა ოსმალეთის სულთანსა და სპარსეთის შაჰს. საბოლოოდ, თავისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით გულჩარამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ირან-ოსმალეთის 1612 წლის საზავო ხელშეკრულების დადებაში, რითაც ორი იმპერიის ომი და უმოწყალო სისხლისღვრა დასრულდა [5].

მარიამ დედოფალი – გიორგი პირველის მეუღლე. გიორგი პირველი ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა, როცა ტახტის მემკვიდრე ბაგრატე ცხრა წლისა იყო. გიორგის გარდაცვალებისთანავე მცირეწლოვან მეფეს დაუპირისპირდნენ ურჩი ფეოდალები და მიაღწიეს იმას, რომ ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინემ ილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ. ბიზანტიელმა ჯარმა ააოხრა სამხრეთ საქართველო. „დადგა ჟამი, როცა ხმლით დამორებული და დაპირისპირებული მხარეები ქალის მანდილს უნდა შეერიგებინა“ და 1032 წელს ბაგრატის დედა – მარიამი დიპლომატიური მისიით გაემგზავრა ბიზანტიაში ბერძენთა მეფე რომანოზთან შესახვედრად. გონით დაჯილდოებული მანდილოსნის ელჩობა შედეგადად დასრულდა. მარიამის თხოვნა აღესრულა და ბერძენ-ქართველთა გამწვავებული ურთიერთობა მოყვრობით შეიცვალა [6].

1162 წელს საქართველოს მეფე გიორგი მესამემ მცირე აზიის სულთნებთან ზავის დასადებად დიპლომატიური მისიით რუსუდან დედოფალი (დემეტრე მეფის ასული – დიდი დავით აღმაშენებლის შვილიშვილი) გაგზავნა. დედოფალმა დავალება პირნათლად შეასრულა, მოწინააღმდეგე ქვეყნები დააწყენარა და მშვიდობიანობას დაუდო საფუძველი.

ერეკლე მეორის დედა თამარ ბაგრატიონი ცნობილია თავისი ნიჭით, მოხერხებით და დიპლომატიურ საქმეებში გაწვრთნილი ქალბატონი. მან თავისი ამ თვისებებით ბევრჯერ იხსნა ქვეყანა განსაცდელისაგან. თეიმურაზ მეფემ თამარ დედოფალი გააგზავნა სპარსეთის შაჰთან ელჩად. გონიერმა თამარმა დაუმტკიცა ნადირ-შაჰს მათდამი საქართველოს კეთილგანწყობა და მისმა ასეთმა გამჭრიახმა, დიპლომატიურმა საუბარმა შაჰს ხელი ააღებინა ქართლ-კახეთის განადგურებაზე.

ქართულ საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებს სამხრეთ კავკასიის ორ ქვეყანასთან - აზერბაიჯანსა და სომხეთთან დიდი ხნის ისტორია აქვს და ამ ისტორიის განხილვა და ანალიზი ცალკე მსჯელობის საკითხია. ამ სტატიში შემოვიფარგლებით მისი მოკლე მიმოხილვით.

დავიწყებთ იმით, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი დიდი გეოპოლიტიკური ინტერესების გამო მუდმივად იყო მეზობელი ძლიერი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ. ეს სახელმწიფოები ცდილობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთ შორის აღედრათ ინტერესთა კონფლიქტები, რაც ზოგ შემთხვევაში საომარ ქმედებებშიც გადადიოდა. ამ კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გახლდათ რუსეთი. ისიც ფაქტია, რომ საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აქვს ერთ ფედერაციულ სახელმწიფოდ გაერთიანების გამოცდილება, რომელიც ორჯერ – 1918 და 1922 წლებში განხორციელდა კიდევ. ამ სამოკავშირეო სახელმწიფოს ყველა რეზიდენცია თბილისში იყო. ეს გაერთიანებები დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი საბჭოთა კავშირში ცალკეული რესპუბლიკის სახით შეიყვანეს [7].

საქართველოს და აზერბაიჯანის დიპლომატიური ურთიერთობები ოდითგანვე წარმოადგენდა რეგიონში გლობალური უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის თანამშრომლობის პოლიტიკას.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დიპლომატიური ურთიერთობები, რაც სხვადასხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხაზის გატარებას ემსახურება მეტად მნიშვნელოვანია მთელი რეგიონისთვის. ყურადღებას იმსახურებს ამ ორი ქვეყნის მიერ განხორციელებული ერთობლივი პროექტები გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების და სატრანსპორტო დერეფნის შექმნის მიმართულებით, რაც აღმოსავლეთისა და ევროპის დამაკავშირებელ ტრანსნაციონალურ პროექტად იწოდება. დამუშავდა ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო – თბილისი – ერზურუმის გაზსადენი, ბაქო-თბილისი – ყარსის რკინიგზა და სხვ. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის დასასრულს ჩამოყალიბდა. გაფორმდა სხვადასხვა სახის შეთანხმება და მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა შორის ყურადსაღებია ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლის, სტრატეგიული თანამშრომლობის, მეგობრობის და უსაფრთხოების შესახებ. დღეისათვის ბაქოში ფუნქციონირებს საქართველოს საელჩო, თბილისში აზერბაიჯანის საელჩო და ბათუმში აზერბაიჯანის საკონსულო [8].

საქართველოსა და სომხეთის დიპლომატიური ურთიერთობები, მიუხედავად ამ ქვეყნებს შორის გარკვეულ საკითხებში სამეზობლო კონკურენციისა, საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ამ ურთიერთობებში ვლინდება გარკვეული ასიმეტრია და პრიორიტეტების განსხვავებულობა. მაგალითად, სომხეთისთვის საქართველო წარმოადგენს გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ სატვირთო გადაზიდვებისათვის მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანას (სომხეთიდან ტვირთის 75% საქართველოზე გადის) [9].

საქართველოსა და სომხეთს შორის კეთილგანწყობილმა დიპლომატიურმა ურთიერთობამ საფუძველი დაუდო მრავალ საინტერესო პოექტს, რომელიც ორივე ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობების მხრივ, სომხეთი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორების ათეულში ფიქსირდება. ქართველი და სომეხი ეკონომისტები აქტიურად განიხილავენ სახელწიფოებს შორის სავაჭრო დისბალანსის დარეგულირების გზებს და საშუალებებს, ეძიებენ ახალი ტრანსნაციონალური სატრანსპორტო კომუნიკაციების პერსპექტიული განვითარების მიმართულებებს [10].

დღეისათვის ერევანში ფუნქციონირებს საქართველოს საელჩო, თბილისში კი სომხეთის რესპუბლიკის საელჩო. მოქმედებაშია შეთანხმება „საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მოქალაქეთა ორმხრივი უვიზო მიმოსვლის შესახებ“.

დასკვნა

სტატია გამიზნულია ფართო საზოგადოებისათვის, ვინც დაინტერესებულია ქართული საერთაშორისო დიპლომატიის ისტორიითა და მისი შედეგებით. აქ მოყვანილი ინფორმაცია დიდ დახმარებას გაუწევს საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობის შემსწავლელ სტუდენტებს და სახელმწიფო მოღვაწეთ, რათა კარგად გაანალიზონ ქართული დიპლომატიის მიღწევები და გამოიყენონ საკუთარ პრაქტიკაში.

ლიტერატურა

1. <https://www.allgeo.org/index.php/ka/3194-2021-10-23-09-42-26>. ქართული დიპლომატიის ისტორია.
2. საქართველო და ჩრდილოეთის მეზობლები. <https://geworld.ge/საქართველო-და-ჩრდილოეთი-2>.
3. ელდარ მამისთვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2011.
4. სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ევროპაში (1713-16); ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ტ II. თბ; 1998წ.
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ.3.-თბ.,1978.-გვ.306.
6. გენდერული თანასწორობის ქართული ფესვები. ასოციაცია „მერკური“ - 2010 გამომცემლები: ნანა თოდუა, მანანა ბუკია, ოლგა კიკავა.
7. <https://tbiliselebi.ge/ka/news/politics/rogor-gaertianda-sakartvelo-somkheti-da-azerbaijani-ert-phederatsiul-sakhelmtsiphod-orjer>.

8. <https://liberali.ge/articles/view/25880/salome.ge>. ავტორები: არაზ ასლანლი, აბილხან ისაევი.
9. <https://ge.boell.org/ka/somxur-kartuli-mezobloba-msgavsi-mimartulebebi-tu-gansxvavebuli-gzebi>. ავტორი გიორგი თარხან-მოურავი.
10. <https://www.interpressnews.ge/ka/article/543298-sakartvelo-somxetis-urtiertobebis-tanamedrove-aspektebi/>. ავტორი ნიკოლოზ მეტრეველი.

A Brief Overview of the History of International Diplomatic Relations of Georgia

Nutsa Kadagishvili

Abstract

The scientific article provides a brief summary of the main and important moments in the history of Georgian international diplomatic relations. The content of the article introduces us to the most interesting moments of Georgia's international diplomatic relations. By analyzing this content, interested researchers will be able to delve deeper into the stages of the origin and development of Georgian diplomacy, where they will encounter very important places that have no analogues in the diplomacy of other countries. It can be safely said that this article is a small part of the history of Georgian diplomacy, which is a pathfinder and will serve interested Georgian youth to explore in more detail and at a scientific level the complex diplomatic work of their country's ruling ancestors, through which Georgia and the Georgian nation have maintained their self-respect and world recognition to this day. In-depth research into the history of Georgian diplomacy should be considered a very desirable, interesting and useful task!

Keywords: Georgian foreign policy and diplomacy. South Caucasus. Geoeconomics. New world order. Peaceful coexistence. Economic cooperation. North Caucasus countries.